სამშაბათი, 1918 წ. მკათათვის 16 № 139

წელიწადი მეორე

სამშაბათი 1918 წ. მკათათვის 16 № 139

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ, რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის ერთ გვერდზე. [illegible] ... უნდა იყოს ავტორის გვარით და მისამართით. [illegible] ... მასალა არ ინახება და ავტორს მის შესახებ არ [illegible].

რედაქციაში [illegible] დილის 2—3 საათამდის, [illegible]

**კონტორა**

„საქართველოს" ხელის მოწერა მიიღება შემდეგი ფასით: თვეში — 18 მ. [illegible] 6 მ. და 60 კ. [illegible] № 40 კ. განცხადებების ფასი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე — 30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. [illegible] განცხადება [illegible] ზომით: 20×2=15 მანეთი, 30×2=20 მანეთი. [illegible] 1 მან. [illegible] 1 მ. და 50 კ. [illegible] 1½ [illegible] კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, [illegible] ქუჩა, № 5 [illegible]. Тифлисъ. [illegible] № 76. [illegible]: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

სამშაბათს მკათათვის 16 (ძველი სტილით 3 მკათათვეს) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდაცვლილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

## თამარ როსების ასულის ყანჩელისა

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: თ. როსებ თადეოზის ძე და სალომე გიორგის ასული, ძმები: გიორგი და ქაიხოსრო ამირაჯიბნი. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე ახალი დროით. (2—2)

სამშაბათს 3 ივლისს (ძველი სტილით) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდაცვლილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

## თამარ როსების ასულის ყანჩელისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ალექსანდრე ივანეს ძე ყანჩელი შვილებითურთ. პანაშვიდის დაწყისი 12 საათზე ახალი დროით. (2—1699—2)

მარიამ ნიკოლოზის ასული და პოლკოვნიკი სამსონ მაღალის ძე ასათიანები შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და ამხანაგებს, რომ ივლისის 17-ს, ოთხშაბათს, გარდაცვლილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი უსაყვარლესის ასულის, საქალებო ინსტიტუტის უკანასკნელი კლასის მოწაფის,

## ვერა ასათიანის

სულის მოსახსენებლად, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დილის 10 საათზე. (1—1704—1)

10 ივლისს ანანურის ბრძოლაში მიღებულ ჭრილობისაგან გარდაცვლილ ოფიცერი ბათუმის პარტიზანულ რაზმისა

## დიმიტრი (მიტო) იერემის ძე გულისაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავებს მეგობრებს მშობლები იერემია და მარიამ გულისაშვილები, ძმები მიხეილ და ვახტანგ და რძალი ქეთევან შვილებით. დასაფლავება მოხდება დღეს 16 ივლისს დილით გომბორში. გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან წირვის შემდეგ

გაბრიელ დიმიტრის ძე გულისაშვილი, ეკატერინე გრიგოლის ასული გულისაშვილისა შვილებით, შალვა, ბიძინა და მარიამი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ საყვარელი და დაუვიწყარი ძმისწულის პრაპორშჩიკ

## დიმიტრი იერემის ძე გულისაშვილის

გმირულად დაღუპვას ანანურთან ბოლშევიკებთან ბრძოლაში. პანაშვიდი ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა ივლისის 16 დილით ეკლესიის გალავანში. 1—1706—1

ღრმა მწუხარებაში შინა მყოფნი პირისუფალნი: ქვრივი კესარია ჩუბინიძისა, ბარო, მიშა, ალისა და თამარა ჩუბინიძეები, ბიძეებმ ზურაბის ძე ჩუბინიძე ქალიშვილით და შვილიშვილებით და სევერიან ფირანის ძე კალანდაძე აუწყებენ, ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი მეუღლისას, მეორენი მამისა, მესამენი ძმისწულისას, ბიძაშვილისას და ბიძასას და მეოთხე ძვირფასი სიმამრის

## ნიკოლოზ მუძ ყანის ძე ჩუბინიძისას

დაკრძალვა მოხდება დღეს, 16 ივლისს, დილით, ყვირილის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—1703—1)

კვირას 17 თიბათვეს—ძველი სტილით, ს. ცემში საექიმოთ და სააგარაკოთ ყოფნის დროს უდროოდ გარდაცვალა ახლად კურს დამთავრებული ხონის გიმნაზიის—სტუდენტი

## სეფე (სეფიკო) ქუთათელაძე

უღრმესი მწუხარებით გულმოკლულნი დედა თეოდოსი ნიკოს ასული ქუთათელაძისა, მამა ზაქარია კოსტას ძე ქუთათელაძე—ძმები: ივანე, მიშო. დები: ცუცუ, ანიჩკა, რძალი ანეტა გიორგის ასული ქუთათელაძისა და სიძე მელიტონ სალუქვაძე გულითად მადლობას უძღვნით ყველა მათ, ვინც თავისი მობრძანებით და წერილებით გვანუგეშა დაკრძალვის დღეს. დაკრძალვა მოხდა სოფელ იგანდიდში საგვარეულო სასაფლაოზედ სამშაბათს, 27 თიბათვეს—ძველი სტილით.

### კვირას, 41 ივლისს 1918 წელს

## გაიხსნა პირველი ხარისხის სასადილო „საქართველო" ყოფილი „ამირანი"

პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში

შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეტებით

დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღეს 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.

ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.

სამზარეულო აზიური და ევროპიული, სასმელები ღვინოები საუკეთესო მაღაზიდან საუკეთესო მზარ. ხელმძღვანელობით

## ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს რომ მისგან დანიშნულია

## კონკურსი ას-მანეთიანი ბილეთის

ნახატის შესამუშავებლად. უკანასკნელი ვადა ნახატის წარმოდგენისა 21 ივლისია, ნაშუადღევს 2 საათამდე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სამინისტროს კანცელარიაში 1—2 საათამდე ყოველ დღე.

## ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ იგზავნებიან წარმომადგენლები ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც ჰსურს რისამე დაბარება სხვა და სხვა ქარხნების წარმოებიდან, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და განუცხადონ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

## აჭარის სურვილი.

სტამბოლში სამშვიდობო კონფერენცია იწყება საქართველოსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქვეყნების საქმეთა მოსაწესრიგებლად და ოსმალეთმაც გამოაცხადა თავისი „დიპლომატიური" მუშაობა. ერთის მხრივ სომხეთის ჯარი დაუპყრობია დარჩენილ ნაწილებს უქადის იარაღით დაფლობას და მეორეს მხრივ მის ხელში მეტად აღვილად ჩავარდნილ ბათუმის ოლქში თავის ბატონობის განმტკიცებას ცდილობს სავსებით და საბოლოოდ.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის ძალით ბათუმის ოლქიდან უნდა გასულიყო რუსის ჯარები, ხოლო ეს ოლქი ოსმალეთის ხელში არ გადადიოდა, მისი პოლიტიკური მდგომარეობა უნდა გადაწყვეტილიყო თანახმად ადგილობრივი ხალხის სურვილისა და მეზობელ სახელმწიფოთა შეთანხმებისა.

ოსმალეთის მთავრობას განუზრახავს თავის პრეტენზიების ხალხის ასეთი სურვილითა და ნებით ადჭურვა სტამბოლის კონფერენციისათვის, და თავისებური რეფერენდუმი დაუნიშნავს ბათუმსა და აჭარაში. ოსმალთა ასკერები აიძულებენ ხალხს წინასწარ დაბეჭდილი ბლანკები წარუდგინონ მთავრობას იმის შესახებ, რომ მათ სურთ ოსმალეთთან შეერთება.

ასეთი რეფერენდუმის შედეგები ცხადია, მაგრამ არა ნაკლებად ცხადია ისიც, რომ ასეთს რეფერენდუმს არავითარი ანგარიში არ გაეწევა იქ, სადაც საჭიროდ მიიჩნევენ ბათუმის ოლქის მცხოვრებთა ნამდვილი აზრის გაცნობას. აჭარლები რომ საშინელს პროვოკაციის ქსელში და სამშობლოსა და თავის დალატში გაებნენ, ეს უკვე სავსებით ნათელია მათთვის. ვერავითარი ასეთი ქაღალდები ვერ და ფარავს აჭარლების უკმაყოფილებას ოსმალეთის მთავრობით და მათ გამოკვეთას და გამოფხიზლებას, რაც გამოხატება მათს მტკიცე სურვილში დაუბრუნდნენ თავის სამშობლო საქართველოს და მის საზღვრებში მოეწყონ თავისუფლად და ავტონომიურად. ამის საუკეთესო საბუთია ის არეულობები, რომელიც ხდება ამ ქვემოდ აჭარაში, და ის რეპრესიები, რომელსაც მიმართავს მათ წინააღმდეგ ოსმალეთის მთავრობა.

აჭარა განუყრელი და განუყოფელი ნაწილია საქართველოს ერთიანი სხეულის. შეიძლება ძალდატანებით მისი საქართველოსაგან ჩამოკვეთა და ჩამოჭრა, მაგრამ ქართველი ერი ვერასოდეს ვერ შეურიგდება ამ მოვლენას და აჭარის საქართველოსათვის ხელახლა შეერთება მუდამ იქნება მისი ეროვნული მისწრაფების საგანი და მიზანი.

## ფინანსიური განსაცდელი

ჩვენი საზოგადოება, და თვით მთავრობაც ვერ უწევენ სრულს ანგარიშს იმ საშინელ მდგომარეობას, რომელსაც განიცდის ჩვენი ქვეყანა ფინანსიურად.

სწრაფის ნაბიჯით უახლოვდებით ღრმა უფსკრულს და არავის შესწევს ძალა გადაახვევინოს ჩვენს ცხოვრებას იმ საბედისწერო გზიდან, რომელსაც მიჰყავს ის უსაშინლეს ფინანსიურ კატასტროფისაკენ.

განსაკუთრებული ზომები, ტიტანიური ღონისძიებანი თუ აგვაცდენს თავიდან ამ ხიფათს.

ჩვენი ქვეყნის ფინანსიურ საჭიროებებს ამიერ-კავკასიის ბონები ჰკვებავს მას შემდგომ რაც ამიერ-კავკასია რუსეთს ჩამოშორდა ფაქტიურად. ბოლოს და ბოლოს სად მიგვიყვანდა ეს ბონების სისტემა, ესეც ცხადი იყო. საშინლად დაეცა რუსეთის ქაღალდის ფული თავის ფასში ამ ომის დროს. მაგრამ, როდესაც ძველი ფულის ნაცვლად კერენსკის ფულის ბეჭდვა დაიწყეს, აღმოჩნდა, რომ ძველს ფულს ბაზარზე მეტი ფასი შერჩა. ჩვენს ქვეყანაში შემოღებული ფული კი ამ „კერენკებზე" იაფად ფასობდა და ეს, ლაპი თანდათან მატულობს. ბონების ოპერაციებიც უნივერსიტის მეთვალყურეობით სრულის კრახით უნდა დასრულებულიყო, ვინაიდან დღითი დღე ეცემოდა ბაზარზე ამ ფულის ფასი.

უნდა გათვალისწინებულიყო საფრანგეთის დროინდელ ასსიგნაციებისა და მანდატების მაგალითი, როდესაც ფრანგებმა მოედანზე გამოიტანეს ფულის საბეჭდავი მანქანები და იქ დასწვეს, ვინაიდან მათი ნაბეჭდი ქაღალდის ფული უფრო ძვირად ჯდებოდა ვინემ ჰქონდა მას ფასი სყიდვა-გაყიდვის დროს.

მაგრამ ეს უფრო შორეული პერსპექტივები იყო და მის თავიდან ასაცილებლად, საშუალებათა გამონახვა საკმაო დრო გვექნებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ამიერ-კავკასიის ბონების ბეჭდვა შეუძლებელი გახდა, ვინაიდან აზერბეიჯანმა და სომხეთმა არ მოისურვეს განეგრძოთ ჩვენთან საერთო ფულის ბეჭდვა და შესაფერ პასუხის მგებლობაზე და გარანტიაზე უარი განაცხადეს. მათ სხვა ფინანსიური წყაროები აღმოაჩნდათ და ბონებს აღარ საჭიროებენ.

ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაართულა ჩვენი ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა. ათიოდე დღის განმავლობაში გამოილევა ჯერ დაუხარჯავი ბონები, რომელიც დარჩა გაუხმარებლად

ამიერ-კავკასიის საერთო საბუქდავს. ამის შემდგომ ჩვენი საკუთარი ფინანსიური გზები უნდა გავიკვლიოთ.

ზოგნი იმედოვნებენ, რომ ჩვენ სრულიად არ გაგვიჭირდება საკუთარი ფინანსიური სისტემის შემოღება და, რასაკვირველია, ამ ჟამად საკუთარი ქაღალდის ფულის ბეჭდვაში გამოიხატება. მაგრამ ირკვევა ქაღალდის ფულის სურათების გამოცვლასაც თვე ნახევარი სჭირდება და ეს ადრეც რომ მოხდეს, თუ სხვა განსაკუთრებული კიდევ ზომები არ იქნება მიღებული რა საშინელი ფინანსიური ანარქია უნდა დატრიალდეს, როდესაც ბაზარზე იქნება ძველი რუსული ფული, ახალი რუსული ამიერ-კავკასიის ბონები და საქართველოს ქაღალდის ფული! ამასთანავე რევოლუციის დროს გაუქმებულ ხალხისგან სხვადასხვა გადასახადების აკრების განახლებასაც არ შეუძლიან საგრძნობლად გამოასწოროს ჩვენი ხაზინის მდგომარეობა. გადასახადების აკრეფას უნდა წესიერად მოწყობილი ადმინისტრაციული აპარატი, რაც ჩვენ სრულებით არ მოგვეპოვება. სოფლად ამ ჟამად ვერავითარ გადასახადებს ვერ მოვკრებთ. ქალაქებში ეს კიდევ შესაძლოა, მაგრამ ქალაქები ყველა გადასახადების მხოლოდ მეხუთედ ნაწილს თუ იძლევა და აქედან ნახევარი ნაწილი უკვე აკრეფილია.

ზოგი გარეშე სესხს ამყარებს დიდს იმედებს. რასაკვირველია ასეთი სესხი უფრო საიმედოა, ვინემ დაუსრულებლივ ქაღალდის ფულის ბეჭდვა, მაგრამ დღევანდელ პირობებში ესეც მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოასწორებს ჩვენს ფინანსიურს მდგომარეობას. გერმანიის ბანკში, რომ ჩვენს მთავრობას კრედიტი გაეხსნას, ეს ვერ შეცვლის მის ქაღალდის ფულს საკმაო ნდობით და ღირებულობით, თუ ასეთი კრედიტი ვერ იგრძნო ჩვენმა ბაზარმა რეალურ ღირებულებათა, საჭირო საქონლის შემოტანით. კრედიტს, ნდობას აღარ შერჩა ძველი ძლევამოსილება ეხლანდელ პირობებში.

თვით ოქროს ფონდის შექმნასაც არ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის გაჯანსაღებისათვის, თუ მასთან ერთად არ შეიქმნა ისეთი პირობები, რომლესაც ხალხს საშუალება მიეცემა ქაღალდის ფული, ოქროთი, თუ სხვა ღირებულების გამომხატველობით თავისთვის საჭირო და აუცილებელი საქონელი შეიძინოს.

ამ ჟამად მთელი მსოფლიო ოქროს ნახევარზე მეტი ამერიკაში არის დაგროვილი. რომ წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ ამერიკას ჰქონდეს ეს აუარებელი ოქრო და არ ჰქონდეს, როგორც დღეს ჩვენ, ხალხისთვის პირველი საჭიროებისათვის საქონელი და ამ საქონლის შემოტანის საშვალება მოესპოს, ოქროს ფასი შედარებით საქონლის ღირებულებისა ისევე დაიწყებს დაწევას, როგორც დღეს ქაღალდის ფული ეცემა ფასში დღითიდღე. ოქროს ფული უნივერსალური მოხატულება ღირებულების. მაგრამ ფინანსიურად ამ ღირებულებას მას ანიჭებს ის გარემოება, რომ მით ყოველგვარი საქონლის შეძენა შეიძლება. როდესაც ასეთი შესაძლებლობა ისპობა, ოქროს ფული ყველა სხვა საქონლის ბედს იზიარებს.

საქართველოს ფინანსიური მდგომარეობა კატასტროფის წინაშე სდგას და მან ყოველგვარი საშვალება უნდა იხმაროს იმის თავის ასაცდენად, მაგრამ ჩვენს ფინანსიურს პოლიტიკას შორეული პერსპექტივების დასახვაც ჰმართებს ამ საბედისწერო დროს.

ჩვენი ფინანსიური ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა არა მარტო ქაღალდის ფულის, კრედიტისა და თუნდაც ოქროს ძიება, არამედ უწინარეს ყოვლისა ხალხისათვის საჭირო საქონლის წარმოშობა და მათი გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგება შინ და გარედ.

თუ ჩვენ ვერ შევძელით დაუყოვნებლივ ზორკვილის აყრა ჩვენი ეკონომიური ურთიერთობისათვის და შექმნა ისეთი პირობების, როდესაც ქართველი ერი მაქსიმუმად დახარჯავს თავის ენერგიას არა საქონლის მიხმარებაში, არამედ ცხოვრებისთვის საჭირო საქონლის წარმოშობაში, ისე ვერავითარი სხვა ზომები ვერ დაიხსნის ჩვენ ეკონომიურს ცხოვრებას მოახლოვნებულის კატასტროფისაგან.

დღევანდელი ჩვენი ფინანსიური კრიზისი არ არის მარტო ვალიუტის კრიზისი, არამედ კრიზისი მრეწველობას ალებ-მიცემობის, ხალხის შრომისა და სახელმწიფოებრივ პოლიტიკის.

მსოფლიო ომმა განსაკუთრებული ეკონომიური პირობები შექმნა თითქმის ყველა ქვეყნებისათვის. სხვადასხვა ქვეყანათა შორის მუდმივი ეკონომიური კავშირის გაწყვეტა და მრავალ მეომარ და ნეიტრალ სახელმწიფოს ეკონომიური იზოლაცია, პირველი საჭიროების საქონლის წარმოების შემცირება ომის საჭიროების გამო და საქონლის საერთო ნაკლებულევანობა განსაკუთრებით მძიმე პირობებს ჰქმნის არა მარტო ახლად აღდგენილ საქართველოს ფინანსიურ ცხოვრებისათვის. ვალიუტის საკითხი დღეს უფრო რთულია, ვინემ იყო წინათ და მით უფრო მძიმეა ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა.

ა. ახათიანი.

## კიდევ ანარქიის შესახებ

როდესაც ჩვენი გაზეთები საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ატეხილ ანარქიის მიზეზებს ასახელებენ, პირველ ყოვლისა ცდილობენ ამ მიზეზების უფრო პრიმიტიულად გაშუქებას. ჩვენ კი გვგონია, რომ ყოველგვარ მოძრაობას, რომელმაც კი ამ ბოლო დროს ფეხი მოიკიდა საქართველოში მეტად ღრმა და სერიოზული მიზეზები აქვს.

რევოლუციონური ქარ-ტეხილი მხოლოდ ნგრევის პროცესს წარმოადგენს. იგი ძირიან-ფესვიანად სპობს წარსულის ყოველგვარ ნასახსაც კი, არღვევს სახელმწიფოებრივ წყობილების არა თუ უხილავ ორგანოებს და აპარატებს, არამედ სახელმწიფოს ყოფილ მართვა-გამგეობლობის სულ მცირე ორგანოებსაც კი. სახელმწიფოს აპარატი ირღვევა და მასი ნერვიული ქსელიც შემაერთებელი და შემაკავშირებელი მთელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისა სწყდება, იშლება. ამ გვარად ხანა რევოლუციისა არის ხანა სახელმწიფოს უფლებრივობის დაცემისა, მოქალაქეობრივ ურთი-ერთ დამოკიდებულების შეჩერებისა და პოლიტიკურ, ეკონომიურ, და უფლებრივი ცხოვრების აღრევისა. ხანა რევოლუციისა არის ხანა მორკალ-ყურილ ხალხის ინსტიქტებისა, დადებითისა თუ უარყოფითისა, და ამიტომ იგი არ არის ისეთი მომენტი, როდესაც ერთის ხელის მოქნევით შესაძლებელი იყოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების ახალი კალაპოტის შექმნა. უზარმაზარ შენობის დაქცევა შესაძლებელია ერთი წუთის განმავლობაში თუ მას ქვეშიდან ნაღმით აფეთქებ. მაგრამ იმავ შენობის ნანგრევების გაზიდვა და გასუფთავება და შემდგომ მის ადგილას ახალი შენობის აგება მოითხოვს არა მარტო დიდს დროს და ენერგიას, არამედ წინდაწინ შემუშავებულ გეგმას და ამ გეგმის შემსრულებელ ხელოსნებს, მუშებს და მათს ხელმძღვანელ ხუროთმოძღვარს.

და აი სწორედ მაშინ, როდესაც რევოლუციის ქარტეხილით დანგრეულ სახელმწიფოებრივობის აღმაშენებლობას ვიწყებთ უნდა ვიცოდეთ წინდაწინ—გვაქვს თუ არა ამისთვის საჭირო და აუცილებელი ეროვნული აღმშენებლობის ენერგია, და ცოდნა, გვაქვს შემუშავებული რაიმე გარკვეული გეგმა, რომ ჩვენმა ხუროთ-მოძღვარმა სახელმწიფო შენობის აშენებაში გამოიყენოს ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალები, ინტერესი აღუძრას მათ შემოქმედებითი მუშაობისა და ქვეყნის ორგანიზმის დიდი შენობის აშენება კეთილად დაავგვირგვინოს.

ეს ენერგია და აღმშენებლობისაკენ მისწრაფება, სურვილი მისი განხორციელებისა უნდა ღვივოდეს თვით ხალხში, ერის ცოცხალ ძალებში. და ეს ენერგია კი შეიძლება არსებობდეს ერში მხოლოდ მაშინ, თუ რევოლუციის უფლებრივი ცხოვრების განწავლობაში მას ამ ენერგიას კი არ უკლავდნენ, არამედ ულვივებდნენ და უმაგრებდნენ. ჩვენში კი ყველა ამ აუცილებელ პირობებს ვერა ვხედავთ, რადგან ჩვენი ერის მესვეურების მოღვაწეობა რევოლუციამდე და შემდეგ თვით რევოლუციის ხანაში სწორედ ამის წინააღმდეგ იყო მიმართული: ქართველი ხალხი დღეს, ამ მოღვაწეობის მეოხებით, თავისი საკუთარი მეობის უარმყოფელია და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ის აზრი, რომ იგი „უსუსურია“, რომ ეს თავის პირად ცხოვრების მოწყობისთვის ძალა არ შესწევს, რომ იგი დაიღუპება, თუ სხვის და არა საკუთარ მაგარ და მტკიცე საძირკველზე არ ააგებს თავის ცხოვრებას. ჩვენი ხალხი გახადეს ძუძუ მწოვარ ბავშვად და მუდამ ჟამს მხოლოდ დიდი რუსეთის „დედობრივ“ მოსიყვარულობის და მის კალთის ქვეშ ყოფნის სურვილს ულვივებდნენ. და აი სწორედ ამან შექმნა ის დამღუპველი „ეროვნული ფსიხოლოგია“ ჩვენს ხალხში, რომელიც დღე მუდამ მის აზროვნებაში მხოლოდ ერთს საკითხს ჰბადებს: „ვის დავრჩები, ვის ხელში ვიქნები, ვინ იქნება ბოლოს ჩემი „დედა“, პატრონი, მოსიყვარულე, ვინ მომიტანს საბოლოო სიმშვიდეს და უზრუნველ ცხოვრებასო“. თავის პირადი ენერგიის აუცილებლობა ჩაკლულია ჩვენს ხალხში, იგი მხოლოდ სხვისი იმედით სცოცხლობს და თავის საკუთარ სახელმწიფოებრივობას აღმშენებლობას იმდენ სხვაზე აქვს დამყარებული, სხვის მიერ შემუშავებულ გეგმაზე, სხვისი ხელით და აგურით და სხვისი ხუროთ მოძღვრის ხელმძღვანელობით. ამიტომაც ჩვენ გვეგონიბა, რომ ეს ხელოვნურად რამდენიმე ათეულ წლებში შემუშავებული ფსიხოლოგია ქართველ ერისა—არის სწორედ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რომ დღეს, როდესაც საჭიროა გაერთიანება მთელი ეროვნული ძალებისა, შემოკრება მთელი ერის სულიერ და ფიზიკურ ენერგიისა იმ შენობის აღმშენებლობის გარშემო რომლის საძირკველი უკვე ჩაყრილია, ჩვენ ვხედავთ ქართველ ხალხში მხოლოდ გამოიშვედ ლტოლვილებას, თავის მფარველ „დედისა“-კენ მისწრაფებას ან მის ძიებას და საკუთარი ძალების მიმართ უიმედობას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მიუხედავად დიდი ხნის განვლილ სკოლისა ქართველ მასსის პსიხოლოგიაში კიდევ არის დარჩენილი ცოცხალი ნასახი სამშობლოისადმი სიყვარულის გრძნობისა, მაგრამ ჩვენი ერის მესვეურები ამ უკანასკნელ გრძნობის ნასახის ჩაკვლასაც კი არ ერიდებიან თავის უტაქტო პოლიტიკით, რომელიც გამოიხატება მათი აგენტების სხვადასხვა ჯურის კომისრების და ძმათა მისთა მოღვაწეობაში.

ამ უკანასკნელთა მოუმზადებლობამ და ადმინისტრატიულმა გამოუცდელობამ ქართველი ხალხი შეაკავშირების მაგიერ უფრო დააშორა საერთო საქმეს, გაადიდაიანა იგი, მტრული განწყობილება დაჰბადა იმათდამი, ვინც დღეს უფრო ახლოს უდგა მას გვერდში და ვინც მისი პატრონობა თავს იდვა. თუ სინამდვილეს არ დავუმალავთ, უნდა გულწრფელად ვაღვიაროთ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ატეხილი ანარქია იმ ღრმა მიზეზების გარდა რომელნიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, შედეგია უფრო ამ ადმინისტრატიულ ორგანოთა და პირთა მოქმედებისა, რომელნიც ხალხში დადებით მუშაობის მაგიერ მხოლოდ მტრობას, შურს და დვარძლს სთესდენ.

და თუ ჩვენმა მთავრობამ ჩვენ მიერ ზევით მოყვანილ მიზეზების მოსპობას ხელი არ შეუწყო, თუ მან დროზე არ ჩამოაშორა ხალხს მავნე ხელმძღვანელი და ადმინისტრატიულ პირთა დანიშვნაში პარტიულ „მამობილობას“ თავი არ დაანება, თუ იგი ყოველის ძალღონით არ შეეცდება ქართველ ერის, დემოკრატიის აღმზრდელობითი სისტემის შეცვლას და ეროვნულ გრძნობის გაღვივებას ხელი არ შეუწყო,—დღევანდელს ქარტეხილს და ანარქიას, საქართველოში ასე ადვილად ბოლო არ მოეღება.

შ. ტ—შვილი.

## დუშეთის ამბები

სახალხო გვარდიის მთავარ-შტაბს სად. ფასანაურიდან გენ. კონიევისა და გ. ჯუღელისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: ჯარის ერთი ნაწილი მტრის შემოსავლელად წავიდა კაპ. ფურცელაძის და გ. ჯუღელის მეთაურობით დუშეთისა და კარკუჩაზე; მეორე ნაწილი სამხედრო გზით—ყაზბეგზე. 12 ივლისს, სად. 6 საათზე გ. ლომთათიძის უფროსობით ერთმა როტამ, ტყვიის მფრქვეველთა ბატალიონმა შარაშიძის უფროსობით და თბ. ცალკე ბატალიონმა 4 ტყვიისმფრქვეველით, მამაც ყაზბეგელებსა და კარკუჩელებთან ერთად მტერს შემოუარა და მთელი რაზმი ტყვედ ჩაიგდო, ხელთ იგდო 2 საველე ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველი ყუმბარის მტყორცნელები, რამდენიმე ფურგონები და აუარებელი ვინტოვკები. სამი გენერალის „სოციალისტურ არმიიდან“, როგორც სჩანს, 3–4 კაცი გადარჩა, რომლებმაც ავტომობილით თავს უშველეს, დანარჩენი ზოგი ტყვედ არის წაყვანილი, ზოგი კი ყაზბეგის ჩრდილოეთით დაიხოცნენ.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს სად. ყაზბეგიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: დღეს, 15 ივლისს, საღამოს 9 საათზე, ბრძოლით ავიღეთ სად. ლარსი. მტერი ლარიალის ციხეში იყო გამაგრებული, ხელთ ჩავიგდეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი, 1 ყუმბარისმტყორცნელი და დიდძალი სურსათი. აჯანყებულთა მეთაური ალექსანდრე (საშა) გედევანოვი გაიქცა.

გ. ჯუღელი, დგებუაძე, მაახურაძე.

## ომი

### დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა

**ბერლინი, 13 ივლისი.** გერცოგ-ალბრეხტის არმია შუა ვოგეზებში გაძლიერებული საარტილერიო ბრძოლაა. ჩრდილო აღმოსავლეთით პონტ-ა-მუსონისა და ფლერის ველში მოწინააღმდეგის ღამის იერიშები უკუვაგდეთ ლარჩა.

თიბათვის განმავლობაში გერმანიის ფრონტზე ჩვენ ჩამოვყარეთ მოწინააღმდეგის 467 ჰაეროპლანი და 62 მისამმული საჰაერო ბურთი. ამ რიცხვიდან ჩვენი ბატარეით ჩამოვაგდეთ 92 ჰაეროპლანი 217 აეროპლანი ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოცვივდნენ, ხოლო დანარჩენი მოწინააღმდეგის ჯარის მდებარეობის რაიონში. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ დავკარგეთ ბრძოლაში 153 აეროპლანები და 57 მოსაბმული საჰაერო ბურთი.

**ბერლინი.** რეისტაგმა მიიღო 15 მილიარდიანი სამხედრო კრედიტი. წინააღმდეგი იყო მხოლოდ თავისუფალი სოციალისტების პარტია. პოლონელებმა თავი შეიკავეს.

**პარიზი. 13 ივლისი.** დღეს დილით ჩვენ მარჯვედ დავასრულეთ ბრძოლა. ლონგპონტის ჩრდილოეთით და სამხრეთით ფრანგებმა თავისი პოზიციები წინ წასწიეს აღმოსავლეთის მიმართულებით, მიუხედავად გერმანელების სასტიკი წინააღმდეგობისა. ფრანგებმა აიღეს ფერმა კატიეტი (?) აქ წაიყვანეს ტყვეები. გუშინ მონტ-დიერის მიდამოებში ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ 6000 ტყვეზე მეტი, აგრეთვე ხელთ ვიგდეთ 80 ტყვიისმფრქვეველი.

**პარიზი. 14 ივლისი.** ყველა ფრონტებზე სიმშვიდეა. ზოგიერთ ნაწილებში სუსტი საარტილერიო სროლაა.

**ბერნი. 14 ივლისი.** გრენობლთან საარტილერიო პოლიგონზე ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლმა 20 მილიონი მარკის ზარალი მისცა. აქავე ცეცხლმა ძალიან დააზარალა ახლო მდებარე აეროპლანის დიდი ქარხანა კაუზენისა.

**ჟენევა. 14 ივლისი.** საბერძნეთის ჯარში ვენიზელოსმა შემოიღო სასტიკი დისციპლინა და ნებას აძლევს ძველი მთავრობის მომხრეების სიკვდილით დასჯას. სალონიკში საჯარო ადგილებზე დახვრიტეს ლეიტენანტი და 5 სერჟანტი, მისთვის რომ მათ მოაწყეს მანიფესტაცია ძველი მთავრობის სასარგებლოდ.

## ქრონიკა

### თბილისი.

✦ **გამოქცეულები.** რუსთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ლებედევმა და სამმართველოს წევრმა მაიოროვმა სამხედრო გზით გაიარეს დასათვალიერებლად იმისა, შესაძლოა თუ არა ლტოლვილთა გაშვება სამხედრო გზაზე. ისინი ფასანაურამდე ჩავიდნენ, ქვემოთ კი მხოლოდ ერთი მათგანი გაუშვეს ნ. ქორჯანის ნებართვით გენ. კონიაშვილის შტაბში (სად. მლეთში). სად. ყაზბეგის აღებამდე გენ. კონიაშვილს შეუძლებლად მიაჩნია სამხედრო გზაზე გამოქცეულების გაშვება.

✦ **ტანჯვის დღეები.** გამოქცეულთა შორის სიმშილი თანდათან იზრდება. ქალაქის თვითმართველობამ უკვე გაანაწილა მთავრობისაგან მიღებული უკანასკნელი ასი ათასი მანეთი,—დღეში 15 ათასი მან. 25 ათას გამოქცეულთა გამოსაკვებად, რაიცა ძლივსა ჰყოფნის ერთ მესამედ გირვანქა პურსა. ბავშვების სიკვდილი გახშირდა. დღეში 30—40 ბავშვი კვდება. გამოქცეულები იქვე თავშესაფარების გალავანში ასაფლავებენ ბავშვებს, რადგან დამკრძალავი კონტრაგენტი დასაფლავებას ვერ ასწრებს.

✦ **სოფლის სამრეწველო მოქმედება.** საქართველოს 13 ქალაქთა წარსულ თათბირის გადაწყვეტილებათა საერთო ჯამის გამოყვანის შემდეგ ქალაქთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, დახმარება აღმოუჩინოს მას (კავშირს) განსახორციელებლად იმ გეგმისა, რომელიც კავშირს გამომუშავებული აქვს. სხვათა შორის კავშირი შუამდგომლობს გადაიცეს მის განკარგულებაში 500 ფ. ტყავი, პარკი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად, ზამთრის საპნის მხარშავი ქარხანა და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას კავშირი იმას აქცევს, რომ მას გადაეცეს დასამუშავებელი მასალა.

✦ **ამ. არაქელიანის დასაფლავება.** კვირას დაასაფლავეს ტრაგიკულად გარდაცვლილი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და „მშაკის“ რედაქტორი ამბარცუმ არაქელიანი. დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. ეკლესიის მოედანზე და სასაფლაოზე წარმოითქვა მრავალი სიტყვა სომხურ საზოგადოებათა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების მიერ. საქართველოს პრესიდიუმის დავალებით დაკრძალვას დაესწრო და შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა საქ. პრესიდიუმის თავმჯდ. ა. ასათიანმა.

✦ **საკომერციო ინსტიტუტი თბილისში.** კოოპერაციის, პროფესიონალურ კავშირების და მცოდნე პირთა ერთი ჯგუფი აღძრავს საზოგადოებას თბილისში უმაღლეს საკომერციო ინსტიტუტის გასახსნელად. საინიციატივო ჯგუფს უკვე შეუგროვებია რამდენიმე ათი-ათასი მან. როგორც აღმოჩნდა ხსენებულ ინსტიტუტისთვის თბილისში საკმაო სამეცნიერო ძალები მოიპოვება.

✦ **ქართულ ტექნიკურ საზოგადოების კრება.** სამშაბათს, 16 ივლისს შესდგება ქართულ ტექნიკურ საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება ინჟ. ვ. კაკაბაძის მიერ მოხსენება შემდეგ თემაზე: „ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“; ამავე კრებაზე გაირჩევა ჰიდრო-ტექნიკურ სექციის მოხსენება. კრება დანიშნულია ფრეილინის ქუჩაზე № 11, საღამოს 8 საათზე.

✦ **სომეხ ლტოლვილების გადასახლება რუსეთში.** სომხეთა ეროვნულ საბჭომ მთავრობას შეატყობინა, რომ საბჭო ყოველგვარ ზომებს იღებს სომეხ-ლტოლვილების უმტკივნეულოდ გადასახლებას რუსეთის ტერიტორიაზე.

✦ **ერევნიდან ჩამოსულმა ოფი**ციალურმა პირმა სომხეთა ეროვნულ საბჭოს მოხსენება წარუდგინა, რომ ოსმალთა შემოტევა შეჩერებულ იქნა. ბრძოლის დროს სომხურმა ნაწილებმა დაჰკარგეს: მოკლულია 6 აფიცერი, 3 დაჭრილი და მოკლული და დაჭრილია 100-მდე ჯარისკაცი. ოსმალთა დანაკლისი გაცილებით მეტია.

✦ **ოსმალების წინსვლა.** რადგან ოსმალები წინ იწევენ სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერევნის მიმართულებით, სომხეთა ეროვნულ საბჭომ დეპეშა გაუგზავნა კონსტანტინოპოლში მყოფ სომხეთა საზავო დელეგაციას, რათა მან იშუამდგომლოს ოსმალეთის მთავრობის წინაშე შესახებ სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტისა.

✦ **ალაზნის ველის ლტოლვილები.** სომეხთა ეროვნულ საბჭოს დელეგატის წყაროდან ატყობინებენ, ჩამოვიდა ლტოლვილთა პირველი ჯგუფი ათასი

ამუნიცია, ფქვილი, სახაზინო და ოფიცრების კუთვნილი ბარგეულობა.

დედოფლის წყაროზედ დარჩენილი ქონება შეადგენდა დიდ ქონებას საქართველოს სახელმწიფოსათვის და თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ ბოლოს მაინც მიაქცია ყურადღება ამ ქონების მოვლა-პატრონობას.

სამხედრო უწყებამ დანიშნა აქ პოლკოვნიკი ინგ. მანი 3-მე ქართული მსროლელი არტილერიის ბრიგადის შესადგენად, მაგრამ შედგენით კი არავითარი შემდეგმა და მგონი არც არავითარი შესადგენ-ადგილ-ადგილობით შეადგინა მხოლოდ შტაბი ოფიცრების და ჩინოვნიკებისა ჯარისკაცთა.

ცოტაოდენს ჯარისკაცებს, რომელნიც ამ ჟამად ირიცხებიან პოლკებში, ამხედრებენ ოფიცრობის და წესიერების წინააღმდეგ და აი ყველა ეს ჰქმნის იმ აუტანელ ატმოსფერას, რომელშიაც უხდება საქართველოს სახელმწიფოს არსებობა და მოვლა-პატრონობა სახელმწიფო ქონებისა და კერძოდ დედოფლის წყაროზედ დატოვებულ ქონებისა. გული გიკვდება, როდესაც გრძნობ, რომ შენს თვალწინ ყოველ დღე, ღამე და საათში ნიავდება და ჰქრება ეს თავდაცვისათვის აუცილებელი ქონება. სამწუხარო ის გულგრილობა, რომელსაც იჩენს მთავრობა და ის წრეები, რომელთაც შეეძლოთ მიეგარათ და ეპატრონათ ამ მილიონიანი ქონებისათვის.

ყოველივე ეს იცოდა მთავრობამ, მაგრამ მისი ზომები იყო მხოლოდ დაპირება; ანდა ბრძანებები: მიმართეთ სიღნაღის კომისარს და სიღნაღის კომიტეტებს. სიღნაღის კომისრის და კომიტეტების დახმარება კი გამოიხატებოდა იმაში, რომ გამართავდნენ კრებებს, მიტინგებს და გამოიტანდნენ შემდეგი ხასიათის რეზოლუციებს: „გთხოვთ ჯარისკაცები დედოფლის წყაროზედ 3-მე ქართული მსროლელი არტილერიის ბრიგადის შესადგენად და დავალოს თვითეულ ჯარისკაცს, რომ ყოველივე ბრძანება უფროსის (ოფიცრის) იქნეს უსიტყვოდ შესრულებული". ყველა ეს რეზოლიუციები კი რჩებოდა მხოლოდ რეზოლიუციებად და ამსრულებელი კი არსად სჩანდა.

უკანასკნელი მდგომარეობა დედოფლის წყაროზედ მოხსენდა თბილისს და სიღნაღს. უკანასკნელი სიტყვა ასეთია: „ყოველივე ზომებს მივიღებთ ქონების დასაცავად და ბრიგადის ჯარის შესადგენათ"-ო. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეხლა მაინც სიტყვა მათი საქმედ იქცეს.

ივანე ქუთათელაძე.

—

## სოფ. აბაშა

(სენაკის მაზ.)

აბაშის სოფლის სამკითხველოს გამგეობის ინიციატორობით 23 ივნისს ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოდ, გამართულ იქმნა საღამო, სადაც მოწვეული იყო ძუკუ ლოლუა და ამხ. მომღერალთა გუნდი; საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო და ყველას სულით და გულით უნდოდა ამ კულტურულ საღამოში თვისი წვლილი შეეტანა და დახმარება გაეწია ღარიბ სამკითხველოსათვის და მართლაც უამინდობას ხელი რომ არ შეეშალა, სოფლის პირობაზედ კარგი შემოსავალი დარჩებოდა სამკითხველოს ან ანგარიშიც: ბილეთების გაყიდვიდან შემოვიდა 525 მ. და 35 კაპ. კერძო შემოწირულება 420 მან., ფოშტის შემოსავალი 30 მ., ბუფეტის ნაგაჭრი—889 მან. და 85 კ. სულ შემოვიდა 1865 მან. და 20 კ. დაიხარჯა სულ: 931 მან. და 95 კაპ. ამრიგად დარჩა წმინდა შემოსავალი 983 მან. და 25 კ.—შემომწირველთა სია: ეკატერინე ტყემალაძემ 50 მან. მქ. იასონ ჟორდანიამ 50 მან. ექ. მ33. ფულარიამ 25 მან. ვლად. ხოფერიამ 25 მან. კოწია ჩაჩავამ 40 მან. ოცოცი მანეთი: ექ. გ. ჯორჯიკიამ, ექ. გრ. თოფურიძემ, რაჟდენ გამსახურდია, მამანტი კანდელაკმა, ბათუ ქოიავამ და პეტრე ქოიავამ, სპირიდონ კაპარავამ 15 მან. ათ-ათი მანეთი: ი. გუგუშვილმა, პეხუ მაღნარაძემ, ან. დოლიძემ, ბ. ტყებუჩავამ, არჩილ ქანტარიამ, ლევან პაპიტურიამ, მამანტი ქაჩარავამ, კარალინა გაბილაიამ და ბაგრატ დოლიძემ. 5 მანეთი გაიოზ კაპარავამ.—გამგეობა მადლობას სწირავს ყველას, როგორც შემომწირველთ, ისე იმათ, ვინც თავის დასწრებით შემწეობა აღმოუჩინა სამკითხველოს; ამასთანავე გამგეობა გულწრფელ მადლობას სწირავს ძ. ლოლუას და მის ამხანაგებს, რომელთაც უსასყიდლოთ მოაწყვეს კონცერტი, აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან ყველა ის მოწინავე ახალ-გაზრდა ქალ-ვაჟნი, რომელთაც არ დაიზარეს და დახმარება გაუწიეს გამგეობას საღამოს მოწყობაში.

საღამოს გამგენი: არ. თოფურიძე, თადეოზ ბ. ქოიავა და ივანე ქოიავა.

## პასუხის მაგიერი

ბ-ნ მ. ზაალიშვილის ბიბლიოგრაფიული შენიშვნის გამო („საქარ." № 133).

სწორედ უნდა მოგახსენოთ ჩემი სახელმძღვანელო წიგნების გამო ვისმეს-თან კამათის გამართვა უსაჭიროდ მიმაჩნია. 1914 წლიდან დღემდე ბევრს განუხილავს და გაურჩევია ჩემი წიგნები; თავიანთი აზრი გამოუთქვამთ, ზოგს მართალი, ზოგს შეცდარიც, მაგრამ მათთან კამათი არ ვამიმართავს. ყველას უფლება აქვს თავისი აზრი გამოსთქვას, როცა ესა თუ ის წიგნი გამოდის და საქვეყნოდ ხდება, ყველას შეუძლია მსჯავრი დასდოს. კარგს ამით არა დაკარგავს-რა, გარდა იმისა, რომ გაუმჯობესობაში წავა და ცხოვრებაში გზას გაიკვლევს, ცუდი და უსუსური კი თავისთავად უდღეური და დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. ჩემი „ბოტანიკაც" ზოგს მოსწონს, ზოგს არა... მაგრამ წიგნის დამფასებლად რომ ისეთივე წიგნის სხვა ავტორი გამოდის *), მას არ შეუძლია საგანს ობიექტიურად შეხედოს და ეთიკისა და სამართლიანობასაც მოკლებული უნდა იყოს ასეთი ხერხი., სხვათა შორის ბ. მ. ზაალიშვილის კრიტიკა რომ წრფელი და მიუდგომელი არ არის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ბ. მ. ზაალიშვილმა გაარჩია ჩემი წიგნის პირველი გამოცემა 1916 წ. დამდეგისა, ხოლო მეორე შესწორებულსა და შევსებულს 1917 წ. დამდეგის გამოცემას გვერდი აუხვია. ამიტომაც ბ. მ. ზაალიშვილის შენიშვნებზედ არსებითად პასუხს არ ვაძლევ და არც შემდეგში მივცემ.

შეიძლება მართალიც იყვეს ბ. მ. ზაალიშვილი, რომ ბ. ჩუბინიშვილი ბოტანიკურ ტერმინებში ავტორიტეტად არ მიმაჩნია და ყველასაგან ცნობილს, მეცნიერ და საერთო ტერმინს კვერთს ჩუბინიშვილისა და მასთან ერთად ბ. მ. ზაალიშვილის კოკობი და კუკური სჯობდეს. შეიძლება ჩემი „ბოტანიკა" დაწერილი ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროის ბუნების მეტყველების აქამდე არსებული კურსისათვის, მართალია ისე მოკლე იყვეს, რომ ბავშვებს არ ვუხსნიდე „რა მნიშვნელობა აქვს თოხნასა და მარგვლას"? შეიძლება ჩემს „ბოტანიკაში" მხოლოდ არსებითი მხარე იყოს დაცული, ხოლო მისი შევსება და გაფართოება მასწავლებლის, მის უნარსა და თვითმოქმედებას მივანდოს, შეიძლება მასწავლებელს წიგნში ყველაფერი უამბოთ ისე, რომ არც მასწავლებელს და არც მოსწავლეს თავისთავად ჩასამატებელი და მოსაფიქრებელი არა დარჩეს-რა. შეიძლება, რაკი „წიწმატსა და ტარხუნას" არ ვიხსენიებ და ჩემს „ბოტანიკაში" მხოლოდ უმთავრეს ტიპიურ მცენარეთ აღვწერ, ამიტომ ჩემი „ბოტანიკა" ბ. მ. ზაალიშვილის ტერმინით „კოსმოპოლიტური და ზულუსებისთვის იყოს დაწერილი". მაგრამ ყველა ეს და მრავალი სხვა მიუდგომელი კრიტიკის საქმეა და დეე, ეს საქმე მიენდოს არა პირად დაინტერესებულ პირებს, არამედ საგნის მასწავლებელთა კრებულს და ისეთ მცოდნე პირებს, რომელნიც მიუდგომლობასთან ერთად უფრო ღირსეულ მსჯავრს დასდებენ.

ხ. ბაშელეიშვილი.

*) ბ-ნი მ. ზაალიშვილის «ბოტანიკა» უკვე იბეჭდება ქუთაისში ბ. თ. მთვარიშვილისა და ამხანაგობის მიერ.

ხ. ბ.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ოსმალეთის ტყვეობიდან დაბრუნებულთ უმორჩილესად გთხოვ თუ ვინმემ რამე იცის ოსმალეთში ტყვედ მყოფ ჯარის კაცი გიორგი ალექ ისძე ლოლუაზე ნუ დაიზარებს ლია ბარათის და შემატყობინოს. ხსენებული გიორგი ლოლუა 1914 წლის დეკემბერში ოლთისის მხარეს ბრძოლის დროს უკვალოდ დაიკარგა. ერთი წლის შემდეგ წერილი მივიღე ერზერუმიდან, ტყვედ წაყვანის შემდეგ მოეწერა: მომიყვანეს არზრუმში, აქედან ამ დღეებში სხვაგან გვგზავნიანო. სად გზავნიდნენ ტყვეებს აზრუმიდან, რა მოუვიდა გ. ლოლუას, ცოცხალია თუ მკვდარი, იმ წერილის შემდეგ აღარაფერი ვიცი. თქვენ ეხლა დაბრუნდით ოსმალეთიდან, იცით ტყვეების ამბავი, იქნება რამე იცოდეთ ლოლუაზეც. ჩემი მისამართი: სურამში, ფოსტის უფროსს ი. მესხ. სანგანიძესთვის.

## თბილისის სამოქალაქო მილიციის უფროსისაგან
## ქ. თბილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ

არც ერთს სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს იმ უმთავრეს ელემენტების გარეშე, რომლებზედაც ისტორიულად შენდებოდა თანამედროვე ხალხთა პოლიტიკური ცხოვრება.

ერთი ამ ელემენტთაგანი სახელმწიფოში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ დამოკიდებულებათა შორის არის შექმნა სამხედრო მართველობისა—ჯარის ორგანიზაცია.

ჩვენი ხალხის ცხოვრების სოციალ-პოლიტიკურ სფეროში ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპების განმტკიცებამ, რომელიც მოვლინებულ იქმნა, როგორც შედეგი რუსეთის დიად რევოლიუციისა, მოგვცა ჩვენ საშუალება, რომ შეგვექმნა სახალხო გვარდია, სამოქალაქო მხედრობა.

სახალხო გვარდიასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შეუდგა რეგულიარულ არმიის შექმნას, რომელიც სამხედრო ხელოვნების უკანასკნელ მოთხოვნილების მიხედვით უნდა იყოს ტეხნიკურად მოწყობილი და გაწვრთნილი.

ამ მიზნის მიხედვით მთავრობამ გაიწვია ჯარში ენერგიით და ჯანით სავსე ახალგაზრდები, რომლებიც დაბადებულ იქმნენ 1895, 96, 97, 98 და 99 წლებში.

ამ არმიამ სახალხო გვარდიასთან ერთად უნდა დაიცვას ტერიტორიალური უფლებანი და შინაგანი არსებობა ჩვენი სახელმწიფოსი, რომელიც ანარქო-რეაქციონურ ძალებთან ბრძოლაში დაყრდნობილი უნდა იყოს რევოლიუციონურ—სოციალისტურ ელემენტებზედ.

ჩვენ სახელმწიფოს ყველა შვილებმა, რომელთაც შეეხება მთავრობის დადგენილება და ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარით მიერ, გამოცხადებული 14 ივლის 1918 წელს, თავიანთ წმინდა მოვალეობად უნდა სცნონ დაუყონებლივ ასრულება მოხსენებულ ბრძანებისა.

ამიტომ, იმ პირთ, რომელიც დაბადებულნი არიან 1895, 96, 97, 98, 99 წლებში, მართებთ დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად ქ. თბილისის სამხედრო ბეგრის უფროსთან.

ამავე დროს ვაცხადებ, რომ ის პირები, რომელნიც არ ასრულებენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას და არ გამოცხადდებიან მიმდინარე წლის 15 ივლისამდე, გამოცხადებულ იქნებიან დეზერტირებად და მიცემულ იქნებიან, პასუხის-გებაში თანახმად სამხედრო-რევოლიუციონურ კანონებისა.

შენიშვნა: რაც შეეხება სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების შეღავათებს ანუ უფლებებს, ამ შემთხვევაში საჭიროა ხელმძღვანელობა ამიერ-კავკასიის მთავრობის უკვე მოხდენილ განკარგულებებით.

თბილისის მილიციის უფროსის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი

პავლიაშვილი.


პარასკევს, 19 ივლისს, საღამოს 7 საათზე (ახ. დროით) სამეურნეო ბანკის დარბაზში შესდგება

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის მეორე რაიონის წევრთა

საზოგადო კრება

საზღვარ-გარეთელ ქართველთ, ეროვნულ კომიტეტის წევრი ნ. მაღალაშვილი ამ დღეებში დაბრუნებული ქ. სტამბოლიდან წაიკითხავს მოხსენებას: „ჩვენი მუშაობა საზღვარ გარედ".

დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ პარტიულ წევრებს 4—1

თბილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი ქონებისა სესხის შეუტანლობის გამო დანიშნულია 1918 წ. აგვისტოს. დაწვრილებითი ცნობები აღნიშნულია გაზ. „კავკაზის" 6 ივლისის № 138 ში

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა

კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარ. და, 10—2 საათამდის და 7—8 ს. საღ. (ახალ დროით.

ოთხშაბათს, 17 ივლისს, საღამოს 7 საათზე (ახალი დროით) მოხდება

საქ. ეროვნ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის I რაიონის

წევრთა საზოგადო კრება

№ წაიკითხავს მოხსენებას: ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის ტაქტიკა ეროვნულ საბჭოში

თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თანახმად ამ წლის 17 ივნისის თათბირის დადგენილებისა ცხენებზედ გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ გადიდებულია 1918 წ. პირველ იანვრიდან—პირველი რიგის ცხენებზე 100 მან. მეორე რიგისა 80 მან. და მესამე რიგისა 50 მან., ხოლო ავტომობილების გადასახადი დანიშნული 100 მან. თვითეულ ცხენის ძალაზე. ვაცნობებთ რა ამ. ავტომობილების და ცხენების პატრონთ, თბილისის ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ერთი კვირის განმავლობაში ამ დღიდან შემოიტანონ 1918 წლის კუთვნილი დამატებითი გადასახადები ქალაქის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადასახადები დანიშნულ ვადაზე არ იქმნა შემოტანილი, გამგეობა მკაცრ ზომებს მიიღებს.

(4—981—6)

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

ნ. დ. ტურაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, სქესიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სიმონიშვილის აფთიაქის გვერდზე.

2 თვ.—1658.

ექიმი

გ. ი. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევს 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ექიმი

გ. წინამძღვრიშვილი

თიბათვესა და მკათათვეში იღებს ავადმყოფთ ქ. გორში 6—7 საათამდე, დეკანოზ ი. კაპანაძის ბინაზე

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. მძინარაშვილის და დ. მ. ნაზარიშვილის

სამკურნალოში იღებენ კბილის საექიმო კაბინეტი ბრილიანტ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და („კურინის" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კურინის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევს 3 ს-დე. ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე. დარიგება მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაზანის ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

ქუქულიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნორდ" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

გაიხსნა

თვალის სამკურნალო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინომატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

ბალანდარიშვილი

უმეტესად გულის და. კუჭებით ავადმყოფთა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებიან ავადმყოფებს მიიღებს დილ. 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალისტურად შეყვარებით (ცეობა), და მისი შედეგებით (დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქირურგით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასაჟი

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—45


სტამბა „[illegible]" ამხანაგობის № 4.